

## ანტიკორუფციული ბიუროს პრაქტიკის შესახებ - რეპრესია, როგორც კანონმდებლის მუდმივად ნაგულისხმევი მიზანი

დავით ზედელაშვილი<sup>1</sup>

### შესავალი

ანტიკორუფციული ბიუროს ბოლო გადაწყვეტილებებმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მოქალაქეობრივად აქტიური პირების „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე“ სუბიექტებად ცნობის შესახებ გამაძაფრა როგორც ძალაუფლების მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების რეპრესიების ესკალაციის, ისე ამ მიზნით ანტიკორუფციული ბიუროს ინსტრუმენტად გამოყენების აღქმები<sup>2</sup>.

ერთი შეხედვით, ამ სტატუსის მინიჭება თითქოს არ კრძალავს ამ ორგანიზაციებისა და პირების ჩვეულებრივ საქმიანობას. ეს არის მმართველი რეჟიმის მთავარი გამამართლებელი არგუმენტიც. თუმცა, რეალურად, „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე“ სუბიექტებზე არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიებისთვის დაწესებული ფინანსური ანგარიშვალდებულების მკაცრი რეჟიმი ვრცელდება, არამედ საქმიანობისთვის პოტენციურად არსებითად ხელისშემშლელი ისეთი შეზღუდვებიც, როგორიცაა ერთი წყაროდან მისაღებ შემოსავალზე დაწესებული ზედა ჭერი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ფარგლებში, ეს ორგანიზაციები უარს აცხადებენ „უცხოელ აგენტად“ რეგისტრაციაზე და სახელმწიფოსთვის დეტალური პერსონალური ინფორმაციის მიწოდებაზე. აღნიშნულ პირებს, ახლა იგივეს სხვა კანონის საფუძველზე და სხვა კლასიფიკაციის ქვეშ მოქცევით სთხოვენ.

„გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე“ სუბიექტებად კლასიფიცირებული კონკრეტული ორგანიზაციებისა და პირების ასეთად მიჩნევა თვითნებობის ყველაზე აშკარა მაგალითია. „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის“ მიერ ასეთი სუბიექტების განსაზღვრება ხარისხობრივად დამაკმაყოფილი ნორმაა. მისგან ნათლად იკითხება, რომ

<sup>1</sup> კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, საქართველოს უნივერსიტეტი. e-mail: [d.zedelashvili@ug.edu.ge](mailto:d.zedelashvili@ug.edu.ge)

<sup>2</sup> იხილეთ, მაგალითად, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება 03/029-24

[https://acb.gov.ge/files/biuro/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/antikoru%20biuros%20ufrosis%20gadawyvetileba\\_029.pdf](https://acb.gov.ge/files/biuro/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/antikoru%20biuros%20ufrosis%20gadawyvetileba_029.pdf)

არჩევნების გზით ძალაუფლების მოპოვებისა და საჯარო ხელისუფლების არჩევითი თანამდებობის დაკავების მიზანი ერთდროულად აუცილებელი და საკმარისი პირობაა პირისთვის (ფიზიკური და იურიდიული) „გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონის“ სტატუსის მისანიჭებლად.

ამ უკანასკნელი მიზნის ობიექტური დადასტურების გარეშე, ყოველგვარ გონივრულ საფუძველს მოკლებულია პირის პოლიტიკურ პარტიასთან გათანაბრება და მისთვის პოლიტიკური პარტიებისთვის დაწესებული პირობების შესრულების მოთხოვნა.

კანონის განმარტების აკრობატიკა, რომელსაც მიმართავს ანტიკორუფციული ბიურო და მისი გადაწყვეტილებების ძალაში დამტოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლო, სცდება უბრალოდ სამართლის უზენაესობის პრინციპების ბოროტად გამოყენებას.

თვითნებობის ხარისხი და მისი სიამყარავე, რაც ამ გადაწყვეტილებების დასაბუთებიდან გამოსჭვივის, ავტორიტარული სამართლის სისტემის სახასიათო ნიშნებს ავლენს. ამ დასაბუთების ძირითადი საყრდენი ელემენტები კი აღნიშნულ შეფასებას კიდევ უფრო ამყარებს.

შემდეგ ნაწილებში, სხვა ავტორიტარული სამართლის სისტემების გადაწყვეტილებებთან შედარების გზით, შევეცდებით ვაჩვენოთ ანტიკორუფციული ბიუროსა და სააპელაციო სასამართლოს აქ განსახილველ გადაწყვეტილებებში, სამართლის უზენაესობის სისტემური დეგრადაციისა და ავტორიტარული სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და მეთოდების მკაფიო ნიშნები და მტკიცებულებები.

### **პრეზუმფცია ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების სასარგებლოდ, იცვლება პრეზუმფციით რეჟიმის ძალაუფლების შენარჩუნების სასარგებლოდ**

სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული სამართლის სისტემის ცენტრალური პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს სამართლის განმარტებისა და შეფარდების მთელს პროცესს, არის პრეზუმფცია, რომ კანონი უნდა განიმარტოს ადამიანის თავისუფლებებისა და უფლებების სასარგებლოდ, თუ არ არსებობს ამ უფლებების ლეგიტიმური და კონსტიტუციურად გამართლებული შეზღუდვის მკაფიოდ გამოხატული საკანონმდებლო საფუძველი.

ნებისმიერი ბუნდოვანება და ეჭვი ასეთი საკანონმდებლო საფუძვლის არსებობის შესახებ, უნდა გადაწყდეს იმ დასკვნის სასარგებლოდ, რომ კანონი არ ითვალისწინებს შესაბამის შეზღუდვას.

ავტორიტარულ სამართლის სისტემებში, პრეზუმფცია ადამიანის სასარგებლოდ, რეჟიმის ძალაუფლების სასარგებლოდ პრეზუმფციით იცვლება. კანონის შემზღუდავი მიზნების აბსოლუტიზაციის კვალდაკვალ, რეჟიმის ჯარისკაცებად ქცეული სამართლის შემფარდებლები ამ აბსოლუტიზებული მიზნის ტოტალურად აღსრულებით არიან დაკავებული. სწორედ ამ დიადი მიზნით მართლდება შემდეგ ყველა აშკარად არაგონივრული და შესაბამისად, თვითნებური და უკანონო განმარტება.

როგორც ანტიკორუფციული ბიუროს, ისე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში, პირთა საჯაროდ გამოხატული პოზიცია კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ, გათანაბრებულია „პოლიტიკური მიზნის“ ქონასთან, კერძოდ, სურვილთან მოიპოვონ საჯარო ძალაუფლება არჩევნების გზით.

არც ბიურო და არც სასამართლო, ცხადია, არ განმარტავს თუ რა ლოგიკით შეიძლება გავუთანაბროთ სურვილი, რომ კონკრეტულმა პოლიტიკურმა ძალამ და პირებმა არჩევნებით ვეღარ მოიპოვონ საჯარო ძალაუფლება, ამ ძალაუფლების პირადად მოპოვების ნებასთან და ამ ნების საჯაროდ გაცხადებასთან.

ანტიკორუფციული ბიურო და სააპელაციო სასამართლო პრაქტიკულად ამტკიცებენ, რომ რეალობა ავტორიტარული რეჟიმის აღქმების მიხედვით უნდა დავინახოთ, რომლის მიხედვითაც, ყველას, ვისაც უნდა, რომ რეჟიმმა ძალაუფლება დაკარგოს, ეს ძალაუფლება თავისთვის უნდა. ცხადია, ავტორიტარული რეჟიმების ლიდერებისა და ელიტების ამ გამრუდებულ პერსპექტივას, ობიექტურ მოცემულობად ვერავინ მიიღებს და ვერც გონივრული განმარტების ჩარჩოს ვერ შეგვიქმნის.

ავტორიტარულ რეჟიმებში, ძალაუფლების ნებისმიერ ფასად შენარჩუნების სურვილი ხშირად გადაწონის და აუქმებს ყველა გონივრულ აზრსა და პერსპექტივას. მხოლოდ ეს დაკვირვება თუ ახსნის ანტიკორუფციული ბიუროსა და სააპელაციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ლოგიკურ „აჯაფსანდალს“, რომლის თანახმადაც: ა) საჯაროდ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძალაუფლება უნდა დაკარგოს იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელსაც ის ახლა უპყრია, ტოლფასია იმისა, რომ პირს თავად სურს ამ ძალაუფლების მოპოვება ან ბ) მას სურს ეს ძალაუფლება მოიპოვონ სხვა პოლიტიკურმა ძალებმა, შესაბამისად, ეს უკანასკნელი ნება, ამ პირს ათანაბრებს იმ პოლიტიკურ პარტიებთან, რომელთაც სურთ ძალაუფლების მოპოვება.

ანტიკორუფციული ბიუროს ლოგიკით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მოქალაქეობრივად აქტიური პირების მიერ არსებული ძალაუფლების ნებისმიერი კრიტიკა, რომელიც ასევე გამოსატყვევებს ამ ძალაუფლების საარჩევნო გზით შეცვლის ზოგად სურვილს, ავტომატურად უტოლდება პარტიულ პოლიტიკურ საქმიანობას, კერძოდ, საჯარო ხელისუფლების არჩევნების გზით მოპოვების სურვილს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მოქალაქეების როლის ასეთი ინტერპრეტაცია ფუნდამენტურად შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოების ნებისმიერ ნორმატიულ განსაზღვრებასთან, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაგულისხმევ დემოკრატიული საზოგადოების ცნებასთანაც.

ანტიკორუფციული ბიურო სრულად უკონტექსტოდ ციტირებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომელთა თანახმადაც კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, კონვენციის მოთხოვნების დაცვით, აქვთ საარჩევნო პროცესის სამართლებრივი მოწესრიგების დისკრეცია<sup>3</sup>.

თავისთავად, ეს დისკრეცია ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეჭვქვეშ არ დგას, ხოლო ძალაუფლების კრიტიკის გამო, პირის პოლიტიკურ პარტიასთან გათანაბრების შესაბამისობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან დაუსაბუთებელი რჩება. ცხადია, ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაში მსგავსი არგუმენტის მოძიება უბრალოდ შეუძლებელია, რადგანაც ასეთი რამ არ არსებობს.

ანტიკორუფციული ბიუროსა და სააპელაციო სასამართლოს ასეთი ინტერპრეტაცია, თავისი აშკარა თვითნებურობით, ემსგავსება ნაცისტური გერმანიის სამხედრო სასამართლოების პრაქტიკას, რომლის თანახმადაც ცოლ-ქმარს შორის საუბარი საჯარო კომუნიკაციად მიიჩნეოდა<sup>4</sup>.

ნაცისტური კანონებით, ფიურერის საჯარო კრიტიკა იკრძალებოდა და სასჯელად გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯაც. ცოლმა განიზრახა ამ კანონის გამოყენებით ქმრის მკვლელობა და ნაცისტურ საიდუმლო პოლიციაში დაასმინა, რომ ქმარმა მასთან საუბრისას ფიურერი შეურაცხყო.

---

<sup>3</sup> Ibid. IV. 24. გვ.13

<sup>4</sup> ამ საქმეების პირველი ავტორიტეტული ანალიზი ეკუთვნის პაპეს. იხილეთ: H.O. Pappe, On the Validity of Judicial Decisions in the Nazi Era, 23 M OD . L. REV. 260, 263 (1960)

ქმარი სამხედრო პირი იყო და სამხედრო სასამართლომ გაასამართლა. დანაშაულის აუცილებელი ელემენტი იყო კრიტიკის საჯაროობა. მანამდე, ნაცისტურმა სასამართლოებმა საჯაროობის ცნება იმდენად ფართოდ განმარტეს, რომ პრაქტიკულად შინაარსი გამოაცალეს მას, თუმცა ამ კონკრეტულ საქმეში სამხედრო სასამართლომ პირველად განავითარა აბსურდული ინტერპრეტაცია ცოლ-ქმარს შორის კერძო საუბრის საჯარო ხასიათის შესახებ, ქმარი დამნაშავედ ცნო და სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთ გერმანიის ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ მკვლევლობაში თანამონაწილეობისთვის სასჯელი დააკისრა როგორც დამსმენ ცოლს, ისე სამხედრო სასამართლოს მოსამართლეებს, რომლებმაც სასიკვდილო განაჩენი გამოიტანეს.

ფედერაციული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მეუღლეთა შორის საუბრის „საჯარო კრიტიკად“ მიჩნევა სამართლის აშკარად თვითნებური და უკანონო ინტერპრეტაცია იყო. ცოლ-ქმარს შორის ინტიმური პირადი ხასიათის ურთიერთობის, ნდობისა და აქედან გამომდინარე მოლოდინების გათვალისწინებით, აბსოლუტურად არაგონივრული და თვითნებური იყო ცოლ-ქმარის საუბრის საჯაროდ კლასიფიკაცია და მისი შინაარსის გავრცელების რისკის დანახვა.

ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სამხედრო სასამართლო ამ აშკარად თვითნებური განმარტებისას მოქმედებდა ერთადერთი მიზნით - დაუსჯელი არ დაეტოვებინა რეჟიმის კრიტიკის არც ერთი შემთხვევა. შეუძლებელია, რომ იგივე დასკვნისგან თავი შევიკავოთ საქართველოს შემთხვევაშიც.

მეტიც, თავად ანტიკორუფციული ბიუროსა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადად მიუთითებენ, რომ სწორედ არსებული ძალაუფლების კრიტიკაა ამ პირთა კლასიფიკაციის მთავარი საფუძველი, რომ ასეთი კრიტიკა არის არჩევნების გზით ძალაუფლების მოპოვების ნების ტოლფასი და კანონმდებელი არ დაუშვებდა, რომ ამ მიზნის შესაბამისად მოქმედება რეგულირების მიღმა დარჩენილიყო<sup>5</sup>.

---

<sup>5</sup> სქოლიო 1, V. 22. გვ. 11-12.

## კანონმდებლის მიზნის იდენტიფიკაცია რეჟიმის მიერ ძალაუფლების შენარჩუნების მიზნებთან

ანტიკორუფციული ბიურო ამტკიცებს, რომ პირის საჯაროდ გამოხატული სურვილი არსებული ძალაუფლების შეცვლის შესახებ, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა გამოხატვა ან ქმედება, რომელიც ამ სურვილს გადმოსცემს, აუცილებლობით არის არჩევნების გზით ძალაუფლების მისაღებ შეჯიბრში ჩართვა და მისი არგათანაბრება პოლიტიკური პარტიის საქმიანობასთან არ შეიძლებოდა კანონმდებლის მიზანი ყოფილიყო<sup>6</sup>.

კანონმდებლის მიზნის შესახებ ეს უზოთერული მსჯელობა, რომელიც მხოლოდ ავტორიტარული მმართველების მიერ პოლიტიკისა და რეალობის აღქმებს ეფუძნება, არ იყენებს თანამედროვე სამართალში არსებულ არც ერთ ცნობილ მეთოდს კანონმდებლის მიზნის განსასაზღვრად. არც საკანონმდებლო ისტორია, არც შესაბამისი ნორმების შემოღების კონტექსტი, არც იმ პერიოდის საჯარო დებატები, ასევე მათი რელევანტურობა დღევანდელი კონტექსტისთვის, ანტიკორუფციული ბიუროსა და სააპელაციო სასამართლოსთვის საინტერესო არ არის. მსგავსად, ასეთი წყაროებით არ ინტერესდებიან სხვა ავტორიტარული რეჟიმების ჯარისკაცებად ქცეული სამართლის შემფარდებლები. მათთვის მთავარი იყო რეჟიმის მიზნები მოცემულ მომენტში. თავის მხრივ, ამ მომენტში, ეს მიზნები შეიძლება განსხვავდება იმ მიზნებისგან, რომლებიც რეჟიმს ჰქონდა კონკრეტული საკანონმდებლო ინსტრუმენტის მიღებისას.

მოსამართლე, როგორც რეჟიმის ჯარისკაცი, მაშინ „ვარგა“, როდესაც ზუსტად ხვდება თუ რა არის რეჟიმის მიზნები და შეუძლია მათ საფუძველზე კონკრეტული შედეგების დაყენება მიმდინარე საქმეებში.

ეს მიდგომა განსაკუთრებით დახვეწეს სამხრეთ აფრიკელმა მოსამართლეებმა აპართეიდის დროს. აპართეიდის ცენტრალური სამართლებრივი ინსტრუმენტი იყო ე.წ. „ჯგუფის ტერიტორიების აქტი“ (Group Areas Act 1950), რომელიც ითვალისწინებდა ყოვლისმომცველ სეგრეგაციას რასობრივი ჯგუფების მიხედვით.

ამ აქტის საფუძველზე, ქალაქი დურბანი დაიყო ზონებად, სადაც არათეთრკანიანებს მხოლოდ ქალაქის ყველაზე ღარიბ და განუვითარებელ ზონებში შეეძლოთ დასახლება. მოსარჩელე ლოკპარტმა, ეთნიკურად ინდოელმა, ზონირების ეს გადაწყვეტილება

<sup>6</sup> Ibid.

სასამართლოში გაასაჩივრა<sup>7</sup>. ლოკჰარტი დავობდა, რომ კანონი მხოლოდ ზონირების უფლებამოსილებისას იძლეოდა და არა ამ ზონირებისას არსებითი, არაგონივრული და თვითნებური დისკრიმინაციისა რასის საფუძველზე.

პირველი ინსტანციის სასამართლო მოსარჩელეს დაეთანხმა და მიიჩნია, რომ დისკრიმინაცია მხოლოდ ცხადი საკანონმდებლო საფუძველით შეიძლებოდა. სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა იმ საფუძველით, რომ დისკრიმინაციის უფლებამოსილება შეიძლება ნაგულისხმევად ყოფილიყო და აპართეიდის საკანონმდებლო სქემისა და მისი აღსრულების პრაქტიკის გათვალისწინებით, ცხადი იყო, რომ კანონმდებელმა არაგონივრული დისკრიმინაციის მანდატიც ნაგულისხმევად გასცა.

აპართეიდის რეჟიმის სასამართლოებს ერთხელაც არ გამოუყენებიათ კანონის ბუნდოვანება აპართეიდის პოლიტიკის შესაზღუდად. პირიქით, მათი მოსაზრებით, ყველაზე უფრო შემზღუდავი ზომები ყველაზე მეტად შეესაბამებოდა კანონმდებლის მიზანს.

აპართეიდის რეჟიმის ზოგადი მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით, ისინი, ცხადია, არ ცდებოდნენ რეჟიმის ნამდვილ მიზნებში. ზედმიწევნით ათანაბრებდნენ რეჟიმის მიზნებს კანონმდებლის მიზანთან და ერთგულად აღასრულებდნენ რასობრივი ჩაგვრის სისტემურ პოლიტიკას. მათ საკუთარი ფუნქცია სწორედ ამგვარად წარმოედგინათ.

ავტორიტარულ სამართლის სისტემებში, რეჟიმის მიზნები გადაიქცევა კანონმდებლის მიზნების იდენტურად, ხოლო რეპრესიული მიზნები ნაგულისხმევ, პრიორიტეტულ მიზნებად გარდაიქმნება, რომელთა დაუყოვნებლივ და სრულად აღსრულებაა საჭირო. ასე წარმოედგინათ თავისი როლი ასეთი რეჟიმების სამართლის აღმსრულებელ თანამდებობის პირებს.

## შეჯამებისთვის

ანტიკორუფციული ბიუროსა და საერთო სასამართლოების ბოლო პრაქტიკა სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მიმართ ავლენს არა მხოლოდ ძალაუფლების კრიტიკოსთა მიმართ რეპრესიის ესკალაციის ნიშნებს, არამედ წარმოაჩენს სამართლის სისტემის დეგრადაციის მასშტაბურ და სისტემურ პრობლემებს. კერძოდ, გვიჩვენებს ავტორიტარული სამართლის

<sup>7</sup> Lockhat v. Minister of the Interior 1960 (3) SA 765 (D).

სისტემებისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი მეთოდებისა და ტექნიკების ფართოდ გამოყენებას, არსებითად ავტორიტარული მიზნების მისაღწევად.